

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

ნოე ქაშიბაძე

25.02.2013 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტის ანგარიში №1/129
(01.01.2012 - 01.01.2013)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ფინანსური ანგარიშგებები	
საბალანსო ანგარიშგება	5
ანგარიში ხარჯების ეკონიმური კლასიფიკაციის მიხედვით	6
ფინანსური ანგარიშგებების განმარტებები	
1. ძირითადი საქმიანობა.....	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	7
3. საბალანსო ანგარიშგება	8
4. ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება	10
5. სხვა განმარტებები	12

აფხაზეთის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და
სოც. დაცვის სამინისტრო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2012 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც მოიცავს საბალანსო ანგარიშგებას 2012 წლის 31
დეკემბრისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად
პრინციპებსა და სხვა ახსნა-განმარტებებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და
სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების
შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6
თებერვლის N70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების
ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა
მინისტრის 1998 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებისა და ბიუჯეტების დაფინანსებაზე
მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ
„ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების
ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16
აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა
კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი
ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს
შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ
მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი
სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და
ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ
შეიცავს არსებით უზუსტობებს. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც
აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ
საფუძველს წარმოადგენს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს განხილულია აუდიტის ანგარიშის 3.2 განმარტებაში „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მოთხოვნათა დარღვევით რეალურად შემცირებული იყო „სხვა ძირითადი აქტივები“-ს ბალანსის მუხლი 4,600 ლარით, რაც წარმოადგენს არსებით ცდომილებას.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2012 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება, გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხისა, არაფინანსური აქტივების ღირებულების დაზუსტების შემთხვევაში, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის.

მნიშვნელოვანი საკითხის ხაზგასმა:

პირობითი დასკვნის გაცემის გარეშე, როგორც ეს განხილულია 3.2 განმარტებაში, გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ შემდეგს:

- სამინისტროს სარგებლობაში არსებული ფართის ნაწილზე ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე განთავსებულია და ფუნქციონირებს სხვადასხვა შპს-ები, რითაც ადგილი აქვს სახელმწიფო ქონების უკანონოდ გამოყენების ფაქტს.

საბალანსო ანგარიშგება

(ლარი)

დასახელება	განმარტება	31/12/2011	31/12/2012
აქტივები			
I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		0	0
II. არაფინანსური აქტივები			
სხვა მატერიალური მარაგები		10,142	37,247
შენობა-ნაგებობები	3.1	899,170	814,697
მანქანა დანადგარები და ინვენტარი		54,331	65,030
სხვა ძირითადი აქტივები	3.2	13,746	17,885
არაწარმოებული აქტივები		26,820	24,305
ბალანსი		1,004,209	959,165
ვალდებულებები და კაპიტალი			
I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		0	0
II. კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		1,004,209	959,165
ბალანსი		1,004,209	959,165
III. საცნობარო მუხლები:			
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები		18,236	3,382
ექსპლუატაციაში			
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		2,634	2,634
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი			
გრძელვადიანი მცირეფასიანი		22,961	24,848

ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ

(ლარი)

ეკონომიკური კლასიფიკაციის ჩამონათვალი	განმარტებები	დამტკიცებ ლი გეგმა	დაზუსტ. გეგმა	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა (6-5)
1	2	3	4	5	6	7
სულ ასიგნება (I+II)		775,760	823,610	801,910	804,650	2,731
I. ხარჯები		759,760	783,110	764,148	766,880	2,731
მათ შორის:						
1. შრომის ანაზღაურება		418,500	433,225	433,193	433,193	
1.1 თანამდებობრივი სარგო		382,800	369,465	369,432	369,432	
1.2 პრემია		35,700	63,760	63,760	63,760	
2. საქონელი და მომსახურება		144,160	146,600	134,709	137,709	
2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	4.2	48,120	53,810	53,679	53,679	
2.2 მივლინებები		9,000	8,000	7,922	7,922	
2.3 ოფისის ხარჯები		42,340	42,820	37,288	37,288	
2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები		5,000	3,350	1,234	1,234	
2.5 სამედიცინო ხარჯები		4,000	4,000	3,999	3,999	
2.6 ტრანსპორტისა და ტექნიკის ქსპლ. და მოვლა-შენახვა		29,700	28,620	25,584	28,313	2,731
2.7 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	4.3	6,000	6,000	5,004	5,004	
3. სხვა საგარეო ვალდებულებები		0	410	408	408	
4. სუბსიდიები	4.3	4,600	4,600	4,600	4,600	
5. სოციალური უზრუნველყოფა		192,500	198,685	191,238	191,238	
5.1 სოციალური დახმარება (სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები)		192,500	192,500	185,054	185,054	
5.2 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება (სამინისტროს მუშაკის დროებითი შრომისუუნარობის გამო)		0	6,185	6,185	6,185	
II. არაფინანსური აქტივები		16,000	40,500	37,770	37,770	
6. ძირითადი აქტივები		16,000	40,500	37,770	37,770	
6.1 არასაცხოვრებელი შენობები		0	10,500	10,500	10,500	
6.2 სატრანსპორტო საშუალებები		13,000	13,000	13,000	13,000	
6.3 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		0	17,000	14,270	14,270	

1. ძირითადი საქმიანობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სამინისტრო) საქმიანობას წარმართავდა აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 14 აპრილის N14 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით; სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ მმართველობის დარგებს და ექვემდებარება აფხაზეთის მთავრობას; შედის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში.

სამინისტროს დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთა ნუსხა და ანგარიშსწორების ანგარიში აფხაზეთის ხაზინაში.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ბ) ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- ბ.ა. ზემო აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულება;
- ბ.ბ. გალის რაიონის სამედიცინო დაწესებულებები.
- გ) სოციალური დაცვისა და შრომის დეპარტამენტი.
- დ) შიდა აუდიტის სამსახური.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

- ა) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“;
- დ) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება;

3. საბალანსო ანგარიშგება

არაფინანსური აქტივები

სამინისტროს 2012 წლის 1 იანვრისათვის საბალანსო მონაცემებით, ერიცხება 1,004,209 ლარის არაფინანსური აქტივები. აუდიტის პერიოდში მისი ქონება შემცირდა 45,044 ლარით და 2013 წლის 1 იანვრისათვის ძირითადი აქტივების საბალანსო (ნარჩენმა) ღირებულებამ შეადგინა 959,165 ლარი, რაც 4.49 %-ით ნაკლებია წლის დასაწყისისათვის არსებულ ნაშთზე.

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ:

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება			გასვლა				ნაშთი წლის ბოლოს
		შესყიდვით	იმვე დონის საბელმწიფო ერთეულიდან უსაყიდლოდ	გრანტებით	იმვე დონის საბელმწიფო ერთეულებზე უსაყიდლოდ	გრანტებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	
1. მატერიალური მარაგები	10142	50718		115247		85410		53449	37247
2. ძირითადი აქტივები	967247	37770	6984		94351		20037		897612
2.1 შენობა-ნაგებობები	899170	10500			87526		7447		814697
2.2 მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	54331	27270	2684		6825		12429		65030
2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	8599	13000					3124		18474
2.2.2 სხვა მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	45732	14270	2684		6825		9305		46556
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	13746		4300				161		17885
2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	13746		4300				161		17885
3. არაწარმოებული აქტივები	26820				2515				24305
3.1 მიწა	26820				2515				24305
ჯამი	1004209	88488	6984	115247	96866	85410	20037	53449	959165

სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების, პირველადი საბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების აუდიტით დადგინდა, რომ ძირითადი აქტივების შესყიდვა და უსასყიდლოდ მიღება/გადაცემა განხორციელებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მიმდინარე აუდიტთან დაკავშირებით, მინისტრის 2013 წლის 21 იანვრის N22 ბრძანების შესაბამისად ჩატარდა ძირითადი საშუალებების და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია; შედეგად მატერიალური ფასეულობების მეტობა ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

3.1 შენობა-ნაგებობები

როგორც წინა აუდიტებით იქნა გამოვლენილი საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 20.05.2009 წლის N1-1/1032 ბრძანების საფუძველზე სამინისტროსათვის, მის კომპეტენციაში არსებული ფუნქციების, ამოცანების და საკითხების განხორციელებისათვის, არსებობის ვადით, გადმოცემულ სამსართულიანი არასაცხოვრებელი შენობის (ქ. თბილისი, კალოუზნის ქ. N16) მესამე სართულზე, ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე, განთავსებულია და ფუნქციონირებს ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად (რომელიც შენობაში განთავსდა 2011 წლის ბოლოს, და დაკავებული აქვს შენობის მხოლოდ მეორე სართული), სხვადასხვა შპს-ები, კერძოდ; შპს იძულებით გადაადგილებულ პირთა (ი.გ.პ) ქ. თბილისის პოლიკლინიკა, შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ქალთა კონსულტაცია“, დისპანსერი და სხვა¹.

3.2 სხვა ძირითადი აქტივები

სამინისტროს ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნის პროგრამის ფარგლებში, 04.04.2012 წლის N4/6 ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „ქორსოფთის“ მიერ შემუშავდა პროგრამული უზრუნველყოფა მონაცემთა ბაზის სისტემისათვის; გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 4,600 ლარი. შეძენილი ძირითადი არამატერიალური აქტივი არ იყო სამინისტროს ბალანსზე აღრიცხული (ასახული შესაბამის ანგარიშზე), რის შედეგად შემცირებული იყო რეალურად არსებული არაფინანსური აქტივების ღირებულება მოცემული თანხით (სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისისათვის ბალანსში არამატერიალური ძირითადი აქტივების ღირებულებაზე არ იყო დამატებული სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში ოპერაციების განხორციელების შედეგად ამ კატეგორიაში მიღებული აქტივების მთლიანი ღირებულება)².


¹ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით; 36-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით.

² „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 44-ე და 45-ე მუხლების და საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის (თავი V) მოთხოვნები.

4. ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

4.1 შრომის ანაზღაურება

სამინისტროს მიერ ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის ანალიზით გაირკვა, რომ 2012 წელს მთლიანი ხარჯების დიდი ნაწილი - 54.02 % შრომის ანაზღაურების მუხლითაა გახარჯული, საიდანაც პრემიების სახით გაცემულია 15 %.



4.2 საქონელი და მომსახურება

საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი მთლიანი ხარჯების 16.8 %-ს შეადგენს (134,709 ლარი), საიდანაც:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გახარჯულია 53,679 ლარი, რაც საერთო საკასო ხარჯების მიმართ 6.69 %-ს შეადგენს; ხელშეკრულებების საფუძველზე 2012 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 8 მომუშავე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 4 პირი აყვანილია მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მათზე თვეში ანაზღაურებულია 570-870 ლარი³, სულ 32,250 ლარი.
- მივლინების მუხლით გაცემულია 7,922 ლარი. მათ შორის: მივლინება ქვეყნის გარეთ - 2,648 ლარი და მივლინება ქვეყნის შიგნით 5,274 ლარი. აქედან გაცემულია სამინისტროს მუშაკებზე ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ორგანიზებასთან დაკავშირებით 3,726 ლარი.
- ოფისის ხარჯებზე 37,288 ლარი მოდის, რაც გეგმის (42,820 ლარი) 87.08 %-ს შეადგენს.

³ დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნები.

- ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 25,584 ლარი, საიდანაც სამინისტროს ბალანსზე რიცხული ორი ავტომანქანის (ერთი პერსონალური სარგებლობისთვის და ერთი სამსახურებრივი მიმოსვლისათვის) საწვავ/საპოხი მასალების ხარჯი შეადგენს 17,643 ლარს; მიმდინარე რემონტის ხარჯი - 2,281 ლარს; ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი - 3,460 ლარს, ხოლო ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი შეადგენს 2,200 ლარს.

4.3 სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელება (სუბსიდიები, სოციალური უზრუნველყოფა, სამედიცინო ხარჯები და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება)

2012 წლის სახელმწიფო პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებით მინისტრის მიერ დამტკიცდა პროგრამები და ხარჯთაღრიცხვები; რიგ პროგრამებში დამტკიცდა დებულებები და შეიქმნა კომისიები, რომელთა გადაწყვეტილებებით ხდებოდა თანხების მიზნობრივად ხარჯვა.

2012 წელს საკასო შესრულება პროგრამის სახეების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

(ლარი)

N	პროგრამების დასახელება	დამტკ. გეგმა	დაზ. გეგმა	საკასო ხარჯი	შესრ. %
	მუხლი, საიდანაც მოხდა ხარჯის გაწევა				
1	მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა	4,000	4,000	3,999	99.97
	სამედიცინო ხარჯი				
2	ამბულატორიული მომსახურების პროგრამა	88,000	91,710	88,739	96.76
	სოციალური უზრუნველყოფა				
3	სტაციონარული მომსახურების პროგრამა	100,000	96,290	93,470	97.0
	სოციალური უზრუნველყოფა				
4	გასვლითი ღონისძიების პროგრამა	4,500	4,500	2,845	63.2
	სოციალური უზრუნველყოფა				
5	ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნის პროგრამა	4,600	4,600	4,600	100
	სუბსიდია				
6	დევენილთა სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროგრამა	4,500	4,500	3,920	87.11
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება				
	სულ	205,600	205,600	197,572	

2012 წელს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შესრულების მდგომარეობის აუდიტით გამოვლინდა შემდეგი:

სამინისტრომ განსაზღვრა საკუთარი ადამიანური რესურსის საშუალებით განხორციელებინა ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნის პროგრამის შესრულება. ბიუჯეტის ბალანსში, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, პროგრამის ფარგლები აისახებოდა მხოლოდ სუბსიდიების მუხლით 4,600 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენდა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო არამატერიალური ძირითადი აქტივის (პროგრამული უზრუნველყოფა) შეძენის ღირებულებას, ხოლო ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სამინისტროს მუშაკების სამივლინებო და ადგილზე მათ გადასადგომლად საჭირო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯები აისახებოდა სამინისტროს ბიუჯეტის პროექტში აპარატის შესანახი ხარჯების სახით; შესაბამისად დამტკიცდა ხარჯები ამ პროგრამისათვის საჭირო მივლინებების მუხლში 4,090 ლარის და ტრანსპორტის დაქირავების მუხლში 1,750 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვერ იქნა უზრუნველყოფილი ბიუჯეტის ბალანსის აღრიცხვის უტყუარობა და საიმედოობა⁴. კერძოდ, სამინისტროს მონაცემებით ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნის პროგრამის საკასო ხარჯი შეადგენდა 4,600 ლარს, რეალურად კი მოცემული მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო 9,904 ლარი. მათ შორის: არამატერიალური აქტივის ღირებულება - 4,600 ლარი, მივლინება - 3,854 ლარი და ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი - 1,450 ლარი.

ანალოგიური მდგომარეობა აისახა დევნილთა სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროგრამის შესრულების ანალიზითაც. კერძოდ, პროგრამის საკასო ხარჯი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით შეადგენდა 4,500 ლარს, რეალურად კი მოცემული მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო 5,040 ლარი. მათ შორის: მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების ღირებულება - 4,500 ლარი, მივლინება - 240 ლარი და ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი - 300 ლარი.

4. სხვა განმარტებები

4.1 ფინანსური ანგარიშგების მომხადება

სამინისტროში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ელექტრონული სისტემების (კომპიუტერის) მეშვეობით. მოქმედი დებულებით საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის განსაზღვრა და მისი სწორი ორგანიზაცია ადმინისტრაციული

⁴ არაა დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

დეპარტამენტის ფუნქციებია. სამინისტროს ბალანსი წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს.


სამინისტროს მიერ კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშები (ბალანსები) წარდგენილია დადგენილი წესისა და ვადების დაცვით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის № 364 ბრძანებებით დამტკიცებული ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესაბამისად.

4.2 სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები

სამინისტროს მიერ 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულია 201 ხელშეკრულება, საიდანაც 190 შემთხვევაში ჩატარებულია გამარტივებული შეყიდვა და 11 შემთხვევაში გამარტვებული ელექტრონული ტენდერი (აქედან 17,000 ლარის ღირებულების საწვავის შესყიდვა განხორციელდა კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის გზით).

(ლარი)

2012 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები



აუდიტის პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების წლიური და კორექტირებული გეგმები, ასევე მიმდინარე და განხორციელებული შესყიდვების ანგარიშები სააგენტოში წარდგენილია დადგენილი ვადების დაცვით.


4.3 წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა

სამინისტროში, 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე პერიოდის ფინანსური აუდიტი ჩატარებულია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის მიერ, რაზედაც შედგენილია შესაბამისი აქტი. შემოწმების შედეგად დაფიქსირებულია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები. სამინისტროში გარკვეული საქმიანობაა გაწეული ამ დარღვევების გამოსასწორებლად, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი არ გამოსწორებულა და სხვა დარღვევებთან ერთად აისახა წინამდებარე აქტში. კერძოდ:

- კვლავ მოწესრიგებული არ არის სახელმწიფო ქონების გამოყენების მდგომარეობა;
- შტატგარეშე მომუშავეები აყვანილი არიან მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

აუდიტორი:

გიორგი ფრუიძე



აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
სახელმწიფო აუდიტის სამსახური
25.02.2013 წელი
ქ. თბილისი

(01.01.2012 - 01.01.2013)